ა) სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები *(European Integration and Employment relations, EIGER)*

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი Master of Social Science

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

დ) სწავლების ენა: ქართული

ე) <u>პროგრამის ზოგადი აღწერა და მიზანი:</u> ევროკავშირის დაფინანსებით (TEMPUS-ის პროგრამის ფარგლებში) 2013 წლის 1 დეკემბრიდან დაიწყო პროექტის -"EIGER-ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის ორგანიზება საქართველოს სამ უნივერსიტეტში" - განხორციელება, რომელიც გაგრძელდება 2016 წლის 1 დეკემბრამდე.

საქართველოდან პროექტის განხორციელებაში ჩართულნი არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინური და ინტერსაუნივერსიტეტო პროგრამაა, რომელიც მიიღებს მაგისტრანტებს სამივე უნივერსიტეტის ბაზაზე.

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიმართულებებია:

- ეკონომიკის პოლიტიკა;
- დასაქმების პოლიტიკა ევროკავშირში;
- კეთილდღეობის სახელმწიფო ევროპული მოდელები;
- შრომითი ურთიერთობები და სოციალური დიალოგი;
- ევროპის საკანონმდებლო რეგულაციები ადამიანის უფლებათა და შრომით ურთიერთობებში;
- აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება ევროკავშირში ინტეგრაციისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით

პროექტის უცხოელი პარტნიორები არიან:

- ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი (აპლიკანტი, ბელგია)
- პლოვდივის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ევროპული კოლეჯი (ბულგარეთი)
- მაგდებურგის უნივერსიტეტი (გერმანია)
- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი)

სამაგისტრო პროგრამის ***მიზანია*** საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში შემოიტანოს ახალი სამაგისტრო პროგრამის განზრახვა - შრომითი ურთიერთობების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ წამყვანი როლი ითამაშონ საქართველოს დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების პოლიტიკის სფეროს ტრანსფორმაციაში და ამით კიდევ უფრო დააახლოვონ ქვეყანა ევროკავშირისა და საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან. აღნიშნული მიზანი განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ინსტიტუციური ურთიერთობის დონეზე (რომლის მთავარ მიღწევასაც წარმოადგენს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება).

ევროინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია გააუმჯობესოს შრომითი ურითერთობების სფეროში უმაღლესი აკადემიური ცოდნის მქონე სპეციალისტთა მომზადება საქართველოში, რათა მათ შეძლონ გავლენა იქონიონ შრომის პოლიტიკის ევროპული მოდელების სწორ და თანმიმდევრულ შემუშავებასა და დანერგვაზე საქართველოში. შრომითი ურთიერთობების თანამედროვე ევროპული პოლიტიკის დანერგვა ხელს შეუწყობს საქართველოს წარმატებულ ევროინტეგრაციას და ქვეყანაში შრომითი რეგულაციების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების ეფექტურ დანერგვას.

ახალ სამაგისტრო პროგრამაში შრომითი ურითიერთობები გააზრებულია სამართლებრივ, შრომის ბაზრის, სოციო-ეკონომიკურ, ინდუსტრიულ ურთიერთობათა და ორგანიზაციული ასპექტების ურთიერთშეჯერებით და განზოგადებით. დასაქმებისა და შრომის პირობების სამართლებრივი, ეკონომიკურ-პოლიტიკური და ადამიანი უფლებათა განზომილებები დამუშავებულია როგორც ევროპული სახელმწიფოების ასევე მათთან საქართველოს შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რაც ზრდის პროგრამაში ჩართული მაგისტრანტების სენსიტიურობას, როგორც ზოგადად საკითხის ასევე კონკრეტულად საქართველოს კონტექსტში გააზრების მიმართ. პროგრამა მოამზადებს შრომის პირობებისა და შრომითი ურითიერთობების გაუმჯობესებისათვის მოტივირებულ სპეცილისტებს ეკონომიკურ პოლიტიკაში. შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება საქართველოში ხელს შეუწყობს ქვეყანის ეკონომიკის მდგრადობის და ცხოვრების დონის ამაღლებას.

„შრომითი ურთიერთობები“ მოიაზრება როგორც ფართო ცნება, რომელიც მოიცავს შრომის ლეგალურ, საბაზრო, სოციო-ეკონომიკურ, ინდუსტრიული ურთიერთობებისა და ორგანიზაციულ ასპექტებს. დასაქმებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესებას საქართველოში სასიკეთო შედეგი ექნება ეკონომიკის მდგრადობასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია 28 კურსი/სემინარი (სამაგისტრო ნაშრომის ჩათვლით) და შესაბამისი სასწავლო მასალა. პროექტში ჩართული ლექტორებისათვის ორგანიზებული იქნება სასწავლო მობილობა მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ კონსორციუმის წევრ უნივერსიტეტებში. სწავლების გარდა, პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კვლევაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

დაინტერესებული მხარეები სამინისტროების, საჯარო უწყებებისა და სააგენტოების, კერძო კომპანიების, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ასოციაციებისა და სხვა სამოქალაქო ინსტიტუტების სახით აქტიურად იქნებიან ჩართული პროექტის მიზნების განხორციელებასა და სამაგისტრო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფაში.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გასაუბრება სოციალურ მეცნიერებებში (გასაუბრებაზე შემოწმდება ასევე ინგლისურ ენის ცოდნის დონე B2-ზე. ეს დონე უნდა დადასტურდეს შესაბამისი სერთიფიკატით ან გასაუბრების შედეგად).

ზ) სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება - პროგრამის დასრულების შემდეგ ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა და სისტემურ ცოდნას შრომის თანამედროვე ლეგალური, საბაზრო, სოციო-ეკონომიკური და ორგანიზაციულ ასპექტების. აგრეთვე, დასაქმებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების მექანიზმების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ მიღებული ცოდნის გაზიარება, არამედ მისი ოპერაციული გამოყენება. კერძოდ,მას უნდა შეეძლოს: სხვადასხვა სფეროში შრომითი ურთიერთობების ექსპერტული შეფასება ევროპის კავშირში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად; ბ)

სოციალური პოლიტიკის სფერიში შრომითი ურთიერთობების პოლიტიკის დოკუმენტის (Policy Paper) შემუშავება; გ) თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის; დ) სხვადასხვა სოციალური პრობლემის შესწავლის (კვლევის) გზების განსაზღვრა და არსებითი და ეფექტური რეკომენდაციების ჩამოყალიბება ამ პრობლემების გადასაჭრელად; ე) სხვადასხვა კვლევით თუ სოციალური პოლიტიკის განმახორციელებელ პროექტებში ჩართვა უფროსი მენეჯერის ან მკვლევარის როლში.

დასკვნის უნარი - მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება, რომ შრომითი ურთიერთობების სფეროში სხვადასხვა სიტუაციის ადეკვატური შეფასებისა და სოციალური მონაცემების (ინფორმაციის) დამოუკიდებლად დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე გააკეთოს დასკვნები არსებული პრობლემების არსის, მათი გადაჭრის გზების შესახებ.

კომუნიკაციის უნარი - მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება კომუნიკაცია დაამყაროს როგორც ქართულ, ისევე უცხო ენაზე ყველა იმ ადამიანთან თუ ჯგუფთან, რომლებიც მისი პრაქტიკული ინტერვენციის და კვლევის ობიექტს წარმოადგენენ (სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები, რესპონდენტები, ექსპერტები, და სხვ.). მას განვითარებული ექნება სოციალური უნარები. კერძოდ, შეეძლება ჯგუფური მუშაობა, მათ შორის, ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობა.

სწავლის უნარი – მაგისტრი შეძლებს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას და სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებას. მას შეეძლება, რომ მის მიერ ათვისებული ცოდნა და გამოცდილება გადასცეს სხვებს.

ღირებულებები, რომლესაც შეიძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ:

- ✓ კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებების, პირველ რიგში, მათი ანონიმურობის დაცვა
- ✓ პროფესიული ეთიკის პრინციპების პატივისცემა
- ✓ პლაგიატის უარყოფა
- ✓ ქსენოფობიური და ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების უარყოფა; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;

მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, გამომუშავებული ექნებათ ***ზოგადი*** (ტრანსფერული) უნარები: აბსტრაქტული აზროვნება, მოვლენათა კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, ახალი იდეების გენერირება, ცოდნის მუდმივი განახლება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, დისკუსიის წარმართვა, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების საჯარო წარდგენა და ა.შ.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესსეს შესრულება, და ა.შ.;
4. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. დისკუსია, დებატები;
2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative);
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
4. შემთხვევის ანალიზი;
5. გონებრივი იერიში (Brain storming);
6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს გარკვეულ თანაფარდობას შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას შორის. თითოეული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება ხორციელდება 100–ქულიანი სისტემით. შუალედური და საბოლოო შეფასებები შეიძლება დაეყრდნოს შემდეგ აქტივობებს:

- აქტიურობა სასემინარო, ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე;
- საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება;
- წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები;
- ტესტური გამოცდა;
- ზეპირი გამოცდა
  და სხვა.

დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

კ) სასწავლო გეგმა: იხ. დანართი

ლ) პროგრამის ხელმძღვანელები:

თსუ-ს მხრიდან - პროფ. იაგო კაჭკაჭიშვილი.
კავკასიის უნივერსიტეტის მხრიდან - პროფ. კახა შენგელია; კოორდინატორი - ნინო ჩუბინიძე.
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მხრიდან: პროფ. მარინა კვაჭაძე

მ) დასაქმების სფეროები: ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმება სამინისტროების, საჯარო უწყებებისა და სააგენტოების, კერძო კომპანიების, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ასოციაციებისა და სხვა სამოქალაქო ინსტიტუტების სტრუქტურებში შემდეგ პოზიციებზე: კონსულტანტი, ანალიტიკოსი, პროექტის ხელმძღვანელი, მრჩეველი, მედიატორი, საზოგადოებასთან ურიერთობის სპეციალისტი, ევროპულ ურთიერთობებში მრჩეველი, ანალიტიკოსი, პროფკავშირებში აღმასრულებელი რგოლების თანამშრომელი, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებისა და სოციალურ სამსახურებში და დასაქმების სააგენტოში სპეციალისტისა და წამყვანი სპეციალისტის, ასევე ხელმძღვანელის თანამდებობებზე.
კურსდამთავრებულს შეუძლია გააგრძელოს სწავლა დოქტურანტურაში.
ნ) დამატებითი ინფორმაცია: პროგრამას (სამივე სამიზნე უნივერსიტეტში) შეუძლია მოემსახუროს საშუალოდ 30–მდე სტუდენტს ყოველწლიურად.

სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:
სამაგისტრო პროგრამას მოემსახურება სამივე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (თსუ; კავკასიის უნივერსიტეტი და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი):

- მატერიალურ -ტექნიკური ბაზა;
- უნივერსიტეტების რესურსცენტრები;

- უნივერსიტეტების ელექტრონული სწავლების პორტალი;
- ელექტრონული ჟურნალები და ბაზები;
- უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების ბიბლიოთეკა;
- სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი;

უფრო დეტალურად, თსუ სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების რესურსცენტრი მოიცავს: ექვს გარემონტებულ ოთახს (ფართი დაახლოებით 140 კვ.მ.); ბიბლიოთეკას, დაახლოებით 1500 წიგნით სოციალური მეცნიერებების სფეროში; 22 უახლესი მოდელის კომპიუტერს; 24 საათიან ინტერნეტ მომსახურებას (DHL ქსელი); 5 პრინტერს; ქსეროკოპირების მანქანას; პროექტორს; ფაქსს, სკანერს და ა.შ.

რესურსცენტრი ღიაა 9-დან 18 საათამდე სამუშაო დღეებში. რესურსცენტრის მომსახურებით ყოველდღიურად სარგებლობს 50–ზე მეტი სტუდენტი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს სამივე უნივერსიტეტი (თსუ, კავკასიის უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი).

<u>შედეგი:</u> პროგრამის დასრულების შემდეგ ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრი უნდა ფლობდეს: ა) ღრმა ცოდნას თანამედროვე შრომითი რეგულაციების, აგრეთვე სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ ევროპული სტანდარტებისა და მიდგომების შესაბამისად; ბ) საქართველოს რეალობის გაანალიზების უნარს საერთაშორისო სტანდარტებისმიხედვით; გ) სრულფასოვანი ემპირიული კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს (ანუ უნდა შეეძლოს თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება შრომითი ურთიერთობებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის); დ) პრობლემურ სიტუაციებში გარკვევის, მათი დამოუკიდებელი გადაჭრის გზების უნარ-ჩვევებს

სასწავლო პროცესის განხორციელება: სასწავლო პროცესი (ლექცია/სემინარები) ჩატარდება სამივე უნივერსიტეტში (თსუ, კავკასიის უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი). სასწავლო ცხრილი შედგება ისე, რომ კვირის რომელიმე დღეს სტუდენტებს მოუწიოს ერთ რომელიმე უნივერსიტეტში ლექციებზე/სემინარებზე დასწრება და არ იმოძრაოს სხვადასხვა უნივერსიტეტებს შორის.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი/სკოლა: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (თსუ); ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა (კავკასიის უნივერსიტეტი); სამართლის, სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლა (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი)

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება (თსუ); ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა (კავკასიის უნივერსიტეტი); სამართლის, სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლა (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი)

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა (120 კრედიტი)

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები / კოორდინატორები: ი. კაჭკაჭიშვილი (თსუ), მარინა კვაჭაძე (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი) კ. შენგელია, კოორდინატორი: ნ. ჩუბინიძე (კავკასიის უნივერსიტეტი);

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: დადგენილება №76/2014-17 ივლისი, 2014; დანართი 220

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №81/2014-4 სექტემბერი, 2014; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2014-15 სასწავლო წელი

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ლექტორის	ECTS კრედიტი			
					I წელი		II წელი	
				გვარი	სემესტრი			
					I	II	III	IV
დარგობრივი სავალდებულო საგნები				**სულ - 55**				
1.	CU	ევროკავშირის ფუნქციონირება: ინსტიტუტები და პროცესები	CU 5181	კახა შენგელია	5			
2	CU	დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა ევროკავშირში	CU 5182	ანა დიაკონიძე	5			
3.	CU	დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა	CU 5188	აკაკი ცომაია	5			
4.	GAU	ევროპისა და საერთაშორისო შრომის სამართალი	EIE 0003	გია ლილუაშვილი		5		
5.	GAU	ინდუსტრიული ურთიერთობების სისტემა ევროკავშირში	EIE 0004	მარინა მუსხელიშვილი		5		
6.	GAU	ინდუსტრიული ურთიერთობების სისტემა საქართველოში - შედარებითი პერსპექტვია	EIE 0005	მარინა მუსხელიშვილი		5		
7.	TSU	კეთილდღეობის სისტემები ევროკავშირში		ნინო შატბერაშვილი			5	
8.	GAU	შრომითი სამართალი საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა	EIE 0009	გია ლილუაშვილი			5	

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ლექტორის	ECTS კრედიტი			
					I წელი		II წელი	
				გვარი	სემესტრი			
					I	II	III	IV
9.	TSU	სოციალური დიალოგი და დემოკრატია ევროკავშირში		მარინა მუსხელიშვილი			5	
10.	CU	შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება	CU 5385	თეა გიორგაძე			5	
11	GAU / TSU /CU	პროფესიული პრაქტიკა	CU 5485				5	
დარგობრივი არჩევითი საგნები				**სულ-35 (85-დან)**				
12.	TSU	მოდერნული და პოსტმოდერნული სოციალური თეორია		იაგო კაჭკაჭიშვილი	5			
13.	GAU	ადამიანის უფლებები ევროკავშირში	**EIE001**	მარინე კვაჭაძე	5			
14.	CU	ევროკავშირის გაფართოება, სამეზობლო და პარტნიორობის პოლიტიკა	CU 5187	გურანდა ჭელიძე	5			
15.	TSU	სოციალური კვლევის მეთოდები		იაგო კაჭკაჭიშვილი	5			
16.	GAU	პოლიტიკური ეკონომია		ბექა ნაცვლიშვილი	5			
17.	TSU	პროფესიული ინგლისური I		ნინო ბოლქვაძე	5			
18.	GAU	გლობალიზაცია და მისი სოციალური შედეგები		ბექა ნაცვლიშვილი		5		

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				ლექტორის	I წელი		II წელი	
				გვარი	სემესტრი			
					I	II	III	IV
19.	CU	კონფლიქტის გადაწყვეტა და მოლაპარაკებები	CU 5283	ნინო ჩუბინიძე		5		
20.	CU	გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა	CU 5284	მაია გონაშვილი		5		
21.	TSU	შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია		ია კუტალაძე თამთა მარღანია		5		
22.	GAU	შრომისა და ორგანიზაციის ისტორია	EIE 0008	რამაზ ფარესიშვილი		5		
23.	CU	ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	CU 5381	მაია გონაშვილი			5	
24.	TSU	კეთილდღეობის მოდელები საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა		ნინო შატბერაშვილი			5	
25.	TSU	სამაგისტრო ნაშრომის მომზადება (აკადემიური წერა)		ლია წულაძე			5	
26.	CU	შრომისა და ორგანიზაციის სოციოლოგია	CU 5389	ანა დიაკონიძე			5	
27.	GAU	აღმოსავლეთ ევროპის სოციო-ეკონომიკური ტრანსფორმაცია	EIE 0007	ბაქარ ბერეკაშვილი			5	
28.	TSU	პროფესიული ინგლისური II		ნინო ბოლქვაძე			5	

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			ლექტორის	I წელი		II წელი	
			გვარი	სემესტრი			
				I	II	III	IV
29.	TSU	სოციალურ მეცნიერებათა თანამედროვე პრობლემები		იაგო კაჭკაჭიშვილი გიორგი შუბითიძე	5		
		სამეცნიერო კვლევის კომპონენტი:		**სულ-30**			
29.	GAU / TSU /CU	სამაგისტრო ნაშრომის მომზადება	CU 5486				30
			სემესტრში		**30**	**30**	**30**	**30**
			წელიწადში	**65 სავ+ 20 არჩ + 5 პრაქტიკა + 30 კვლევა**	**60**		**60**
			სულ		**120**		

შენიშვნა1: საგნის კოდები მითითებულია კავკასიის უნივერსიტეტისა და ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის თითოეულ კოდების სისტემის შესაბამისად, თსუ-ში საგნების კოდების სისტემა არ არის და შესაბამისად არაა ბადეში მითითებული. სტუდენტებს საგნებზე რეგისტრაცია შეუძლიათ თითოეული პარტნიორი უნივერსიტეტის საგანთა ელექტრონული რეგისტრაციის ბაზაში.

შენიშვნა 2: სასაწავლო პრაქტიკა სავალდებულოა და სტუდენტს შეუძლია იგი გაიაროს სწავლების მეორე წელს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

8. საგნების სილაბუსები: იხ. დანართი

9. კვლევითი კომპონენტი:
თსუ სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულების, აგრეთვე კავკასიისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტების სამეცნიერო/კვლევითი თემატიკა მრავალფეროვანია:

- ეკონომიკის პოლიტიკა
- დასაქმების პოლიტიკა ევროკავშირში
- კეთილდღეობის სახელმწიფოს ევროპული მოდელები
- შრომითი ურთიერთობები და სოციალური დიალოგი
- ევროპის საკანონმდებლო რეგულაციები ადამიანის უფლებათა და შრომით ურთიერთობებში
- აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება ევროკავშირში ინტეგრაციისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით

საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა, აღნიშნულ პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომს წაეყენება მოთხოვნა, რომ ჩართული იყოს ემპირიული სოციოლოგიური (რაოდენობრივი ან თვისებრივი) კვლევის კომპონენტი. ეს განაპირობებს სამაგისტრო ნაშრომების აქტუალობას, რამდენადაც ისინი ქართული სინამდვილის ანალიზს შეიცავენ. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მაგისტრანტი ახერხებს მოახდინოს სოციალურ-თეორიული მიდგომების საინტერესო და შემოქმედებითი კომპილაცია.

<u>10. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:</u>
სამაგისტრო პროგრამის მონაწილეებს თსუ სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულებაზე, ისევე როგორც კავკასიისა და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტებში შექმნილი აქვთ ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური პირობა იმისათვის, რომ საკვალიფიკაციო ნაშრომი მაღალ დონეზე შეასრულონ. კერძოდ, ეს პირობები მოიცავს:

- საბიბლიოთეკო ბაზას, რომელიც აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე ლიტერატურით ძირითადად ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- კომპიუტერულ კლასს, რომელიც აღჭურვილია ბოლო მოდელის კომპიუტერებით, პრინტერებით, სკანერებით, ასლის გადამღები მანქანებით, პროექტორებით და სხვ;
- ინტერნეტის 24 საათიან ხელმისაწვდომობას (DSL-ის ქსელი);
- სპეციალურ ოთახებს ფოკუსჯგუფების მეთოდებით კვლევების ჩასატარებლად (შესაბამისი აპარატურით: ვიდეო-კამერა, ვიდეო-მაგნიტოფონი, ტელევიზორი).

პედაგოგები:

	კურსი	**პედაგოგი**	**ხარისხი/კვალიფიკაცია**	**სტატუსი**
1.	ევროკავშირის ფუნქციონირება: ინსტიტუტები და პროცესები	კახა შენგელია	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი • ძირითადი
2.	დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა ევროკავშირში	ანა დიაკონიძე	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი	• მოწვეული
3.	დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა	აკაკი ცომაია	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
4.	მოდერნული და პოსტმოდერნული სოციალური თეორია	იაგო კაჭკაჭიშვილი	თსუ სრული პროფესორი	• ძირითადი
5.	ადამიანის უფლებები ევროკავშირში	მარინა კვაჭაძე	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	• ძირითადი • ძირითადი
6.	ევროკავშირის გაფართოება, სამეზობლო და პარტნიორობის პოლიტიკა	გურანდა ჭელიძე	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
7.	სოციალური კვლევის მეთოდები	იაგო კაჭკაჭიშვილი	თსუ სრული პროფესორი	• ძირითადი
8.	პოლიტიკური ეკონომიკა	ბექა ნაცვლიშვილი	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
9.	პროფესიული ინგლისური I	ნინო ბოლქვაძე	თსუ პროფესორი	• მოწვეული
10	ევროპული და საერთაშორისო შრომითი სამართალი	გია ლილუაშვილი	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
11.	ინდუსტრიული ურთიერთობების სისტემა ევროკავშირში	მარინა მუსხელიშვილი	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
12.	ინდუსტრიული ურთიერთობების სისტემა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა	მარინა მუსხელიშვილი	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
13.	გლობალიზაცია და მისი სოციალური შედეგები	ბექა ნაცვლიშვილი	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
14.	მოლაპარაკება და კონფლიქტის გადაწყვეტა	ნინო ჩუბინიძე	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
15.	გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა	მარინა მუსხელიშვილი	ქართულ-ამერიკული	• ძირითადი

	კურსი	პედაგოგი	ხარისხი/კვალიფიკაცია	სტატუსი
	საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა		უნივერსიტეტის პროფესორი	
16.	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	ია კუტალაძე თამთა მარღანია	თსუ პროფესორები	• ძირითადი • ძირითადი
17	შრომის ისტორია	რამაზ ფარესიშვილი	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი	
18	კეთილდღეობის მოდელები ევროკავშირში	ნინო შატბერაშვილი	თსუ პროფესორი	• ძირითადი
19	შრომითი სამართალი საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა	გია ლილუაშვილი	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
20	სოციალური დიალოგი ევროკავშირში	მარინა მუსხელიშვილი	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
21	კეთილდღეობის მოდელები საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა	ნინო შატბერაშვილი	თსუ პროფესორი	• ძირითადი
22	სამაგისტრო ნაშრომის მომზადება (აკადემიური წერა)	ლია წულაძე	თსუ პროფესორი	• ძირითადი
23	შრომისა და ორგანიზაციის სოციოლოგია	ანა დიაკონიძე	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი	• მოწვეული
24	აღმოსავლეთ ევროპის სოციო-ეკონომიკური ტრანსფორმაცია	ბაქარ ბერეკაშვილი	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
25	პროფესიული ინგლისური II	ნინო ბოლქვაძე	თსუ პროფესორი	• მოწვეული
26	ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	მაია გონაშვილი	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი
27	ოკუპაციური ჯანდაცვა და უსაფრთხოება	თეა გიორგაძე	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი	• ძირითადი

იაგო კაჭკაჭიშვილის მოკლე ბიოგრაფია (CV)

თანამდებობა: თსუ პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი.

სამუშაო ადგილი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: (+995) 32 25 08 19 (ოფისი); (+995) 99 56 63 55 (მობ.); ელ.ფოსტა: Iagok@yahoo.com მისამართი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14, IV კორპუსი, მე-3 სართული, საფ. ინდექსი: 0179.

ბოლო 5 წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსები:

სოციოლოგიის შესავალი	ბაკალავრიატი (თსუ), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თანამედროვე სოციალური თეორიები	ბაკალავრიატი, მაგისტრატურა (თსუ), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციოლოგიის სპეციალობა
პოსტმოდერნული სოციალური თეორიები	ბაკალავრიატი, მაგისტრატურა (თსუ), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციოლოგიის სპეციალობა
სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები	ბაკალავრიატი (თსუ), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალური მუშაობის სპეციალობა;
სოციალური კვლევის მეთოდები	მაგისტრატურა (თსუ), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალური მუშაობის სპეციალობა
სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება	ბაკალავრიატი (თსუ), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალური მუშაობის სპეციალობა;
თვისებრივი სოციოლოგიური	მაგისტრატურა (თსუ), სოციოლოგიის

კვლევის მეთოდები	სპეციალობა

<u>**სამეცნიერო კვლევის სფეროები:**</u> თანამედროვე სოციალური თეორია; განათლების, მედიის, ჯანდაცვის, ადგილობრივი მმართველობის და სხვ. პრობლემები.

<u>**ბოლო 10 წლის ძირითადი პუბლიკაციები:**</u>

1. კაჭკაჭიშვილი, ი., ნიჟარაძე, გ., მატარაძე, თ., შუბითიძე, გ., (2013): *შრომის კულტრა და რეკიგიური დისკურსი საქართველოს სხვადასხვა თემში.* თბილისი, ინტელექტი. 160 გვერდი.
2. Kachkachishvili, I., Nijaradze, G., Mataradze, T., Shubitidze, G. (2013): *Labour Culture and Religious Discource in Different Communities of Georgia*. Tbilisi, 'Intelekti'. *(In English).* 140 pages.
3. Lalayants, M., Doel, M., Kachkachishvili, I. (2013): „Pedagogy of international social work: a comparative study in the USA, UK, and Georgia". European Journal of Social Work. *(In English).*
4. Doel, M., Kachkachishvili, I., Lalayants, M. (2012): "Students' Perceptions of International Social Work: A Comparative Study in the USA, UK and Georgia". International Social Work. *(In English).*
5. კაჭკაჭიშვილი ი., ნადარეიშვილი მ., და სხვები (2012): ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის სრული სოციალური პროფილის შესწავლა. თბილისი, "უნივერსალი". 179 გვერდი.
6. Kachkachishvili, I., Nadareishvili M., at *all* (2012):Study of the Overall Social Profile of the Population of Kvemo Kartli Region, Tbilisi, 'Universali'.*(In English).157 p.*
7. Kachkachishvili, I. (2011): ‚*Democratisation Processes: Culture and Values*' In: Democratisation Processes, Regional Context, National Minority Issues and Conflict Transformation in Georgia. Tbilisi, Universali, pp. 7-18. *(In English).*
8. გეგეჭკორი მ., კაჭკაჭიშვილი, ი., ნიჟარაძე, გ., (2010): *ნარკომანია, აივ/შიდსი, უსაფრთხო სექსი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა სტუდენტურ ფოკუსში,* თბ., უნივერსალი, 189 გვერდი.
9. Goodwin, B. Robin, Kachkachishvili, Iago, Nizharadze, George and Cramer, Duncan: 'Psychological Predictors of High-Risk Sexual Behaviour and Drug Use among Adolescents in Georgia. Current HIV Research, 2010, 8.
10. Kachkachishvili, I. (2010): *'Transformation of Public Opinion on the Glimpse of Russian-Georgian War in 2008 and 2009 Spring Crisis'*. In: Georgia, 2009: Post-War Challenges and Perspectives, Tbilisi, Independent Experts' Club, pp. 54-65.
11. Kachkachishvili, I. (2010): *'Research into the Impact of the Assistance Provided to Children and Households with Children in Georgia'*, Social Policy and Social Work in Transition, Volume 1, issue 1, pp. 32-54.

12. Качкачишвили, И. (2009):*Проблема объективности в социальних науках*, Вестник университета дружбы народов, №1; стр. 5-17.

13. კაჭკაჭიშვილი ი., ნადარეიშვილი მ., (2008): *მასწავლებელთა საჭირო და მოსალოდნელი რაოდენობა (კვლევის ანგარიში)*, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 144 გვერდი.

14. კაჭკაჭიშვილი ი. (2008): *სოციალური თეორია*, თბ., ინტელექტი, 220 გვ.

15. კაჭკაჭიშვილი ი., ნიჟარაძე გ., ჯანდიერი კ. (2008): შიდსის რაინდები (ნარკომანია, შიდსი, თინეიჯერები), თბ., უნივერსალი, 189 გვ.

16. კაჭკაჭიშვილი ი. (2007):"მემკვიდრეობის წუნი", ჟურნალი "კინო", №3; გვ. 46-49.

17. Robin Goodwin, George Nizharadze, Iago Kachkachishvili, Alexandra Kozlova, Galina Polyakova (2005): High risk behaviours and beliefs and knowledge about HIV transmission amongst school and shelter children in EasternEurope.http://www.brunel.ac.uk/786/ppt/psychology/PublicHealthBrunel.ppt#29-32(internet-Jurnali)

18. Kachkachishvili, I. (2004): Giddens's Structuration Theory and Some Peculiarities of Georgian Society. In*: 'After Communism: Critical Perspectives on Society and Sociology'*, Peter Lang Publishing House, Bern, pp: 121-129.

19. Kachkachishvili, I. (2004): Sociological Study of Targeted Urban Center Population Attitude Towards Efficiency Of Anticorruption Projects of Six Regional Non-governmental Organizations. In: *'Anti-Corruption Initiatives In The Regions Of Georgia',* CSRDG, pp: 84-90.

20. კაჭკაჭიშვილი ი. და სხვები (2004): ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და რელიგიური უმცირესობები საზოგადოებრივი აზრის ჭრილში. კრებულში: *"რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში"*, გვ. 119-121.

21. კაჭკაჭიშვილი ი. (2004): ექვსი რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციის ანტიკორუფციული პროექტების ეფექტურობის მიმართ სამიზნე ურბანული ცენტრების მოსახლეობის დამოკიდებულების სოციოლოგიური შესწავლა. კრებულში: *"ანტიკორუფციული ინიციატივები საქართველოს რეგიონებში,"* საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), თბილისი, გვ. 57-65.

<u>ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული სამეცნიერო გრანტები:</u>

√ **გრანტის დასახელება:**	სოციალური მუშაობის განათლების სამციკლიანი სისტემის განვითარება 6 ევროპულ ქვეყანაში
დონორი ორგანიზაცია:	TEMPUS/TACIS (ევროკომისიის გრანტი)
თარიღი/ვადები:	2009-2012 წწ., 3 წელი
თანამდებობა:	პროექტის ქართული მხარის ხელმძღვანელი
√ **გრანტის დასახელება:**	აივ/შიდსის, ნარკომანიის, საფრთხის შემცველი სექსის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემებზე

	საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების გამოკვლევა და საგანმანათლებლო პრევენციული ღონისძიებები
დონორი ორგანიზაცია:	ევრაზიის ფონდი
თარიღი/ვადები:	2009 წ., 7 თვე
თანამდებობა:	პროექტის დირექტორი
√ გრანტის დასახელება:	სოციალური მუშაობის სერთიფიცირების პროგრამა თსუ-ში
დონორი ორგანიზაცია:	UNICEF (გაეროს ბავშვთა ფონდი)
თარიღი/ვადები:	2009 წ., 1 აკადემიური წელი
თანამდებობა:	პროექტის დირექტორი
√ გრანტის დასახელება:	ევროპული ინეგრაცია და შრომითი ურთიერთობები
დონორი ორგანიზაცია:	TEMPUS/TACIS (ევროკომისიის გრანტი)
თარიღი/ვადები:	20013-2016 წწ., 3 წელი
თანამდებობა:	პროექტის ხელმძღვანელი თსუ მხრიდან

<u>ბოლო 5 წლის განმავლობაში სამაგისტრო/სადოქტორი ნაშრომების ხელმძღვანელობა</u>

სამი დისერტაციის ხელმძღვანელობა:

- ✓ მაკა ლობჟანიძის დისერტაცია: *"ახალგაზრდა ქალთა შრომითი მიგრაცია და მისი გამომწვევი ფაქტორები"*, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად;
- ✓ ნინო შოშიტაშვილის დისერტაცია: *"ტელემედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა პოსტრევოლუციურ (2003-2009) საქართველოში"*, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად;
- ✓ ნათელა დონაძის სადოქტორო დისერტაცია: *„ქალთა სოციალური ხასიათის ტიპები გარდამავალ საზოგადოებაში (თანამედროვე საქართველოს მაგალითზე)“.*

ოცდაორი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

ენების ცოდნა:

- ✓ ქართული (მშობლიური)
- ✓ ინგლისური (თავისუფლად)
- ✓ რუსული (თავისუფლად)